ფეხბურთელები საქართველოდან

თბილისის "დინამოს" მიერ "შეფილდ უენსდეისთან" წაგების შემდეგ ბილი კეიმ მოსკოვიდან "მგლებს" მისწერა გამაფრთხილებელი წერილი, რომელსაც მთლიანად ვაქვეყნებთ.

რამდენიმე წლის წინათ ვიმოგზაურე "ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირში. როცა ვბრუნდებოდით სამშობლოში, ჩვენ გაგვიმართეს ბანკეტი, სადაც რეი შრლოუს, ბობ რობსონს, დერეკ კივანსა და რონი ალენს შევეკითხე, თუ რომელი ქალაქი მოეწონათ ყველაზე უფრო. მათ ერთხმად აღიარეს: თბილისი, ხოლო მეორე კითხვაზე, თუ რომელი ფეხბურთელი მოეწონათ, ერთხმად მიპასუხეს: კოტრიკაძე.

საქართველოში ყველაფერი გააკეთს იმისათვის, რათა ინგლისელ ფეხბურთელებს თავი სამშობლოში ჰგონებოდათ. თუმცა "დინამომ" წააგო - 0:3, ამან ვერ შეაჩერა ფეხბურთის მოყვარულები - მოსწონებოდათ "ალბიონი". ამას იმიტომ გიყვებით, რომ თბილისის "დინამო" დღეს თამაშობს "მგლებთან" და მსურს გაგაცნოთ იგი. მოსკოვში ჩამოსულმა ინგლისელმა მითხრა, რომ ბრიტანეთის ფეხბურთის მოყვარულნი მაინცდამაინც კმაყოფილნი არ დარჩნენ, როცა გაიგეს მოსკოვის "დინამოს" ნაცვლად თბილისის "დინამოს" ჩამოსვლა. მე მსურს თქვენ იცოდეთ, რომ ამჟამად თბილისის "დინამო" გაცილებით უკეთესი გუნდია. ისეთი თამაში, როგორც ჩვენ ვნახეთ თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "ტორპედოს" შორის საკავშირო თასზე, დიდი ხანია არ გვინახავს.

როცა საბჭოთა კავშირში შეიქმნა ფეხბურთის ლიგა, მისი ერთ-ერთი პიონერები თბილისელი დინამოელებიც იყვნენ. მოსკოვის "დინამოს", "სპარტაკისა" და არმიის გუნდებთან ერთად ქართველებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ფეხბურთის განვითარებაში.

რამდენიმე წლის წინათ რუსები ზეიმობდნენ საბჭოთა ფეხბურთის 60 წლისთავს. ცნობილი ფეხბურთელების სურათების გამოფენაზე თქვენ ნახავდით ქართველი ფეხბურთელების პორტრეტებსაც. მათ შორის ბორის პაიჭაძეს, რომელიც ბურთის ჯადოქარი და განსაცვიფრებელი სნაიპერი იყო. ძველი თაობის წარმომადგენელია ავთანდილ ღოღობერიძეც. ის თბილისელებს ჩამოჰყვა ინგლისში, თუმცა პირველი მატჩი არ უთამაშია. მიუხედავად თავისი ასაკისა, იგი ძლიერია და გუნდის დასაყრდენს წარმოადგენს. გუნდის შემადგენლობის მთლიანად შეცვლამ ახალგაზრდებით თბილისის "დინამო" ჩემპიონატის ცხრილში დაბლა დასწია. სამაგიეროდ ამან ნაყოფი გამოიღო. ვეტერან ღოღობერიძესთან ერთად გუნდში არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები მესხი, ჩოხელი და კალოევი. სამივე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები არიან.

თბილისის "დინამომ" ბევრი იმოგზაურა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ტრიუმფალური იყო მისი ტურნე საფრანგეთში. თქვენ უნდა წახვიდეთ და ნახოთ თბილისის "დინამოს" თამაში. თუ თქვენ მინდორზე იხილავთ 11 ფეხბურთელს ულვაშებით, ნუ გაიკვირვებთ, ასეა საქართველოში. თქვენ ნახავთ სწრაფ, ჭკვიან და მახვილგონიერ ფეხბურთელთა გუნდს - თბილისის "დინამოს".

"დეილი უორკერი"
ინგლისურიდან თარგმნა ზ. შოშიტაშვილმა.
20 ნოემბერი, 1960 წ.